



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
2022-2023 წლების კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგებების აუდიტების
ანგარიში

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ირაკლი ჩიქოვანს

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2022-2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახული იქნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

გიორგი გაბიტაშვილი

გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები	4
1. რეკომენდაციები	5
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	10
3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები.....	12
4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ..	13

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

სამინისტროს აპარატი – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატი.

ანგარიშგება – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

აკადემია – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

დელტა – სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“.

ინსტიტუტი ოპტიკა – სსიპ – ინსტიტუტი „ოპტიკა“.

კიბერუსაფრთხოების ბიურო – სსიპ – კიბერუსაფრთხოების ბიურო.

ლიცეუმი – სსიპ – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ჯანდაცვის სამინისტრო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სამხედრო ქვედანაყოფი – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნებისთვის თავდაცვის ძალებში შემავალი ის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსების მართვის დეპარტამენტთან.

სპეციფიკური დანიშნულების აქტივები – ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივებად განხილულია საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები.

ჰოსპიტალი – სსიპ – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი.

რეკომენდაციები

1.1 ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვისას გამოყენებული პროგრამები

აუდიტის მიგნება

სამინისტროში სპეციფიკური აქტივების აღრიცხვის სახელმძღვანელო¹ დაფუძნებულია აქტივების მანუალურ აღრიცხვაზე, სარდლობებსა და ბრიგადებში ბუღალტერ-აღმრიცხველები აქტივების მოძრაობის აღრიცხვას აწარმოებენ ორი განსხვავებული ფორმით: აღრიცხვის ჟურნალებში რაოდენობრივად და ელექტრონულ ფორმატში – თანხობრივად (აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციები ჯამურ დონეზე). ქვედანაყოფებში არ არის დანერგილი ფასეულობების აღრიცხვის სპეციალიზებული პროგრამა და არ წარმოებს მათი ანალიზური აღრიცხვა. Microsoft Excel-ში წარმოებს ძირითადი აქტივების და მარაგების მხოლოდ რეესტრი, სადაც ნაშთები გადადის ზემოაღნიშნული აღრიცხვის ჟურნალებიდან. შესაბამისად, განსხვავებული ფორმატისა და არაიდენტიფიცირებული მონაცემების გამო,² რაოდენობრივი და თანხობრივი ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება გართულებულია.

აუდიტის მიგნება

დელტას არ აქვს ლოგისტიკური აღრიცხვის პროგრამა, ცენტრალურ და საწარმოების საწყობებში მასალების მოძრაობის პროცესი კონტროლდება მანუალურად და აღრიცხება Excel-ის ფაილებში. ცენტრალური საწყობი შედგება 4 საცავისგან, თუმცა მარაგები აღრიცხულია ერთიანად და არა – ცალკეული საცავის/მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიხედვით, ასევე არ აღრიცხება საწარმოების საწყობიდან საწარმოო უბნებზე მარაგების გადაცემა და წარმოების შემდგომ მორჩენილი მარაგების ამავე საწყობში დაბრუნება. გარდა ამისა, არ ხდება თითოეულ შეკვეთაზე მასალების ხარჯვის ყოველდღიური აღრიცხვა, მასალები ჩამოიწერება ნაერთი აქტის შედგენის და შეკვეთის დახურვის შემდგომ, რაც ხშირ შემთხვევაში დროში მნიშვნელოვნად ხანგრძლივდება. აღნიშნული ნაკლოვანებები საბოლოოდ იწვევს მნიშვნელოვან უზუსტობებს მარაგების ნაშთებში და ართულებს მათ ეფექტურ კონტროლს.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები, მარაგების შესაძლო დანაკარგების რისკი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით:

სამხედრო ქვედანაყოფებმა დანერგონ საწყობის სპეციალიზებული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილ ანალიზურ აღრიცხვასა და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასთან, შენახვასა და თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას.

მარაგების მართვაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია დელტამ დანერგოს შესაბამისი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მარაგების სათანადოდ აღრიცხვასა და კონტროლს

¹ სამინისტროს ქვედანაყოფები ხელმძღვანელობენ 1994 წელს დამტკიცებული N158 ბრძანებით: „საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შეიარაღების, ტექნიკის, ქონების და სხვა მატერიალური საშუალებების აღრიცხვის შესახებ“.

² ინფორმაცია მოიცავს გრძელვადიანი აქტივების, მატერიალური მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების მოძრაობას (მიღება/გასვლა), მაგრამ არ მოიცავს აქტივების აღრიცხვისთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: დასახელება, მოდელი, პირველადი დოკუმენტი, რაოდენობა.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, დელტა.

1.2 მოთხოვნები

აუდიტის მიგნება

ჰოსპიტლის ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამედიცინო მომსახურების გაწევის შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანება შეადგენს 5,412,150 ლარს, რაც ძირითადად ჯანდაცვის სამინისტროს,³ სადაზღვევო კომპანიების და ფიზიკური პირების მიმართ არსებული მოთხოვნებია. ჯანდაცვის სამინისტროს **ჰოსპიტლის** მიმართ 2023 წლის ვალდებულება აღიარებული აქვს 438,175 ლარით ნაკლები ოდენობით. სადაზღვევო კომპანიების მიმართ მოთხოვნების დაგროვების ძირითადი მიზეზია მათი მხრიდან შესრულებული სამუშაოს ღირებულებების ცალმხრივი კორექტირება, რასაც **ჰოსპიტალი** არ ეთანხმება. 2023 წლის მთლიანი მოთხოვნებიდან 1,345,174 ლარი,⁴ წარმოადგენს 2008-2019 წლებში წარმოშობილ დავალიანებებს, თუმცა ხანდაზმული დავალიანებების მიღების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები⁵ არ არის საკმარისად ქმედითი.

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატში 2007-2012 წლებში წარმოშობილი მოთხოვნები შეადგენს 217,606,919 ლარს, რაც ძირითადად უკავშირდება სპეციფიკური აქტივების⁶ შესყიდვისთვის გადახდილ ავანსებს, უმეტეს მათგანზე მიმდინარეობს: სასამართლო დავა, გამოძიება სამართალდამცავ უწყებებში ან საერთაშორისო სარჩელის მომზადება. სამინისტროს აპარატის დებიტორული დავალიანებები ასევე მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ, 2015 წლიდან დარიცხულ პირგასამტეხლოს – 19,619,926 ლარის ოდენობით, რომელთა უმრავლესობაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა, თუმცა მოთხოვნები აღრიცხულია დავის მოსალოდნელი შედეგის შეფასების გარეშე.

მიზეზი

- J ხანდაზმული დავალიანებების რეალობის დადგენასთან და პირველადი დოკუმენტაციის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები;
- J დებიტორებთან სათანადო კომუნიკაციის ნაკლებობა;
- J ინვენტარიზაციის არასრულყოფილად ჩატარება და დავალიანებების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა;
- J დებიტორული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებული დაგვიანებული ქმედებები;

³ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აღიარებული ვალდებულება - 3,291,294 ლარი, ჰოსპიტლის მოთხოვნა - 3,729,469 ლარი.

⁴ მოთხოვნების დაახლოებით 25%: ჯანდაცვის სამინისტროს სსიპ-ები - 780,270 ლარი; სადაზღვევო კომპანიები - 304,105 ლარი; ინდივიდუალური პაციენტები - 229,787 ლარი; სხვა დანარჩენი - 31,012 ლარი.

⁵ დებიტორული დავალიანებების ამოღების მიზნით ფიზიკურ პირებს ეგზავნებათ შეტყობინებები.

⁶ სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები.

ქველი/წინა პერიოდის დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლებრივი შესწავლის საგანს წარმოადგენს.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ და „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლებში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებზე, სხვა მოკლევადიან (მიმდინარე) ფინანსურ აქტივებზე აღრიცხულ ნაშთებზე, ინვენტარიზაციის წესის შესაბამისად ჩატარდეს შერჩევითი ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. ინვენტარიზაციის წესის და აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად საინვენტარიზაციო კომისიებმა იმსჯელონ აქტივების და ვალდებულებების გაუფასურების ან ჩამოწერის შესახებ და შესაბამისი დასკვნები წარუდგინონ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც

სამინისტროს აპარატი, ჰოსპიტალი.

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

1.3 აღურიცხავი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში ღირებულების გარეშე ასახული 3,198,694 ერთეული სხვადასხვა სახეობის მარაგი,⁷ მათ შორის, 20,138 ერთეული კოროზირებული და გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლუატაციისთვის.

სამინისტროს აპარატის ძირითადი აქტივები მოიცავს ღირებულების გარეშე აღრიცხულ 2,900 ერთეულამდე აქტივს და 107,546,953 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე სრულად გაცვეთილ და გამოყენებად ძირითად საშუალებებს.

დელტას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ღირებულების გარეშე აქვს აღრიცხული სხვადასხვა ზომის ერთეულის 81 დასახელების მარაგი.⁸

მიზეზი

თავდაცვის სამინისტრო ფლობს სპეციფიკურ აქტივებს (ნაწილი გადმოცემულია სსრკ-ის დაშლის შედეგად, ნაწილი შეძენილია/მიღებულია 90-იან წლებში), რომელთა ფასები გარკვეულ შემთხვევებში, ობიექტური მიზეზების გამო, უცნობია. აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორება კომპლექსურ მიდგომას და შეფასების პოლიტიკის შემუშავებას საჭიროებს.

⁷ საიდანაც დიდი ნაწილი მოდის სამხედრო მარაგებზე (V კლასი - წარმოადგენს სამხედრო დანიშნულების მარაგებს), თუმცა სახელობითი რეესტრის არასრულყოფილი მონაცემების გამო (ბევრ დასახელებაზე არ არის მითითებული სამხედრო კლასი), კატეგორიის ზუსტი ოდენობა ვერ დგინდება.

⁸ მაგალითად, 26,011 ერთეული - 51 დასახელების მარაგი, 45,229 გრამი - 8 დასახელების მარაგი, 276,324 კილოგრამი - 9 დასახელების მარაგი და სხვ.

მაღოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებაა სპეციფიკური დანიშნულების აქტივების მხოლოდ რაოდენობრივი აღრიცხვა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების სიზუსტეზე.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული „მატერიალური მარაგების“ და „ძირითადი აქტივების“ ნაშთი არ ასახავს რეალურ ოდენობას. თავის მხრივ, აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად მომზადებას და წარდგენას.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით აღურიცხავ არაფინანსურ აქტივებზე ორგანიზაციებმა მოიძიონ ინფორმაცია და პირველადი დოკუმენტაცია აქტივების თავდაპირველი/ისტორიული ღირებულების განსაზღვრის შესახებ, შეუძლებლობის შემთხვევაში იმსჯელონ აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაზე, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენაზე.

კომპონენტ(ებ)ი,
რომლებზეც გაიცა
რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, დელტა.

1.4 არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატში 70,745,269 ლარის ღირებულების მქონე, დაახლოებით, 1,400,000 ერთეულ მატერიალურ მარაგებს გასული აქვს საექსპლუატაციო ვადა: მათი ნაწილი გამოყენებისთვის უვარგისია და ექვემდებარება ჩამოწერას, ხოლო ნაწილი – სროლით გამოცდას. ზემოაღნიშნული ქონება 2009 წლამდე განთავსებული იყო ღია მოედნებზე, შენახვის წესების დარღვევით. მარაგების ნაწილზე დაწყებულია კოროზიული პროცესი და გარკვეულ მათგანზე არ იკითხება მარკირებები. ასევე შესანახ ყუთებზე არსებული კოროზიის გავლენით დარღვეულია ჰერმეტიულობა.

სამინისტროს აპარატის 2022-2023 წლების ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ძირითადი აქტივები მოიცავს მრავალი წლის განმავლობაში გამოუყენებელ, შესაბამისად, 29,942,031 ლარის და 24,860,087 ლარის ნარჩენი საბალანსე ღირებულების გაუმართავ „სამხედრო იარაღის სისტემებს“; სამინისტროს არ გააჩნია შესაბამისი შიდა რესურსი მათი ტექნიკური მდგომარეობის შესაფასებლად და პოტენციალის აღსადგენად საჭირო დანახარჯების

მოცულობის განსაზღვრისთვის, შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული აქტივების ვარგისიანობა ვერ დგინდება.⁹

მიზეზი

არასათანადოდ ჩატარებული ინვენტარიზაცია.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული „მატერიალური მარაგების“ და „ძირითადი აქტივების“ ნაშთი შესაძლოა არ ასახავდეს რეალურ ოდენობას. თავის მხრივ, აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად მომზადებას და წარდგენას.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით არაფინანსური აქტივები, რომლებზეც სახეზეა გაუფასურების მაჩვენებლები, ინვენტარიზაციის წესის და აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, ორგანიზაციებმა შეამოწმონ გაუფასურებაზე, მიღებული შედეგი კი ასახონ ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპონენტ(ებ)ი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი.

⁹ მაგალითად, 2015 წლიდან უმოქმედო ერთ-ერთი სპეციფიკური აქტივის შეკეთებისთვის საჭირო დანახარჯი (ტრანსპორტირების, საბაჟო მოსაკრებლების და გადასახადების გარეშე), უცხოური კონტრაქტორი კომპანიის შეფასებით, 21,000,000 ლარს აღემატება და თითქმის უტოლდება ამ აქტივის ისტორიულ ღირებულებას - 21,375,057 ლარს.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოთხოვნები

აუდიტის მიგნება 26,246,866 აშშ დოლარის არაფულადი მოთხოვნა ოპერაციის დღეს არსებული კურსის ნაცვლად, აღრიცხულია 2023 წლის 31 დეკემბრის კურსის მიხედვით. შედეგად, მოთხოვნების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 7,803,193 ლარითაა შემცირებული.¹⁰

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა სამინისტროს აპარატი.

2.2 მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დელტას მარაგების ნაშთი მოიცავს 275,951 ლარის გახარჯულ, დამონტაჟებულ ან სხვა უწყებებზე გადაცემულ აქტივებს,¹¹ ასევე 431 ერთეული ჯავშანპანელის ღირებულება 365,245 ლარითაა შემცირებული, რადგან დაგროვილი ცვეთა არ არის დაკორექტირებული.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა დელტა.

2.3 გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს 144,492,505 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების საცხოვრებელ შენობებს, რომელთა უმრავლესობა სამხედრო მოსამსახურეების და სხვა კერძო პირების ფაქტობრივ სარგებლობაშია და ექვემდებარება მოსარგებლეთა წერილობითი განცხადების და საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹² განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომისიური წესით პრივატიზებას და ბალანსიდან ჩამოწერას. შესაბამისად, აღნიშნული შენობები არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

დელტას ბალანსზე ირიცხება 2013-2014 წლებში შესრულებული 335,495 ლარის სამუშაოები,¹³ რომელთა ფაქტობრივი მოსარგებლე თავდაცვის სამინისტრო.

¹⁰ სსბას 4, მე-17, 24-ე და 27-ე მუხლები, „ბ“ ქვეპუნქტი. ხელშეკრულების თარიღი: 07.02.2022.

¹¹ იდენტიფიცირებულია აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად.

¹² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემის შესახებ“.

¹³ მათ შორის, 82,377 ლარის არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები, რომლებსაც ცვეთა არ ერიცხება და 253,118 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, დელტა.

2.4 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

დელტას გრძელვადიანი ფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთმა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 25,993,514 ლარი. შპს „დელტა ინტერნეიშენალს“ დელტასთვის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს აღრიცხული მისი 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „დელტა ვებეში“ განხორციელებული ინვესტიციები. შპს „დელტა ვებეს“ მიერ მოწოდებული ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით, 2023 წლის დაზუსტებულმა კაპიტალის საწყისმა და საბოლოო ნაშთმა, შესაბამისად, 1,131,322 ლარი და 6,015,259 ლარი შეადგინა.

კომპონენტ(ებ)ი,
სადაც გამოვლინდა
დარღვევა

დელტა.

2.5 შემოსავლები და ხარჯები

აუდიტის მიგნება

დელტა საბიუჯეტო და საკუთარი სახსრებით საქმიანობებს შორის შიდა მოძრაობისთვის იყენებს ტრანსფერებით ხარჯების და ტრანსფერებით შემოსავლების ანგარიშს. საბიუჯეტო და საკუთარი სახსრებით საქმიანობებს შორის შიდა მოძრაობა არ აკმაყოფილებს შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებს. შედეგად, ამ პერიოდის ტრანსფერებით შემოსავლები და ხარჯები გაზრდილია, შესაბამისად, 629,984 ლარით და 630,179 ლარით.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

დელტა.

3. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

3.1 შრომის ანაზღაურება

აუდიტის მიგნება

დანამატები და მის დასაბუთებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მოქმედი კანონის თანახმად,¹⁴ სახელფასო დანამატი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების დროს/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის განსაზღვრულ თანხას. 2023 წელს სამხედრო მოსამსახურეებსა და სამინისტროს სხვა თანამშრომლებზე „საიდუმლო“ გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დარიცხული 7,344,000 ლარამდე დანამატი, არ არის სათანადოდ დასაბუთებული.¹⁵

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2023 წლის დეკემბერში სამინისტროს მოსამსახურეზე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების მოტივით გაცემულია 11,000,000 ლარამდე დანამატი. დანამატები გაცემულია თავდაცვის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე, მოსამსახურის მიერ წლის განმავლობაში ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის. აღნიშნულ ბრძანებებს საფუძვლად დაედო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც დანამატების გაცემის საფუძველი საკმარისად არ არის დასაბუთებული.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

¹⁴ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 2, „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁵ შესაბამისი ბრძანების გამოცემის საფუძველი/მოტივი.

4. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია N1

სამხედრო ქვედანაყოფებმა დანერგონ საწყობის სპეციალიზებული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილ ანალიზურ აღრიცხვასა და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასთან, შენახვასა და თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია N2

სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, სამინისტრომ შეიმუშავა ერთიანი, სრულყოფილი ორგანიზაციული სისტემა და ინსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას, ნაშთებისა და ოპერაციების ურთიერთშესაბამისობას, აღრიცხვის დროულობას, სისრულეს და სიზუსტეს, კერძოდ:

- ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობამ, სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებისთვის შეიმუშავოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მიიღება აღქმადი, შესაბამისი, საიმედო და შესაბამისი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისათვის;
- სარდლობების ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება და კონტროლი როგორც სარდლობის, ისე შესაბამის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფებში;
- სამინისტრომ განაახლოს და დაამტკიცოს ქონების აღრიცხვის ორგანიზებისა და წარმოების წესების შესახებ 1994 წელს ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელო, რომელიც შესაბამისობაში იქნება აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამის აღრიცხვას;
- სამინისტრომ უზრუნველყოს როგორც სარდლობის, ისე შესაბამის სტრუქტურულ დაქვემდებარებაში არსებულ ქვედანაყოფებში საბუღალტრო პროგრამების დანერგვა/გამოყენება;
- სამინისტრომ უზრუნველყოს აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში ჩართულ თანამშრომელთა შესაბამისი მომზადება/გადამზადება.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია N3

ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგების და ხარჯების სიზუსტის უზრუნველსაყოფად, ასევე მარაგების ნაშთის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს მიერ მარაგების ჩამოწერა მოხდეს მათი ფაქტობრივი გახარჯვისას, ხოლო საწყობიდან გაცემა აღირიცხოს, როგორც შიდა გადაცემის ოპერაცია.

	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	
რეკომენდაცია N4	თვითღირებულების სწორად გაანგარიშების და სსბასს-თან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, დელტამ შეიმუშაოს და დანერგოს დაუმთავრებელი წარმოების/მზა პროდუქციის თვითღირებულებაზე შრომითი და ზედნადები დანახარჯების გაანგარიშების წესი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს თითოეულ შეკვეთაზე ფინანსური შედეგის სწორად განსაზღვრას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია N5	ქონების ეფექტიანად განკარგვის და შემოსავლების მიღების მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების გაფორმება მის ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო აპარატების წარმომადგენლობებთან
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია N6	• შემოსავლების მიღებისა და აღრიცხვის სრულყოფის მიზნით ჰოსპიტალმა შეიმუშაოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტაციის შედეგად მიღებული შემოსავლების და შესაბამისი ხარჯების ანალიზს. • ჰოსპიტალის მიერ მისაღები შემოსავლების კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდეს პაციენტთა რეგისტრაციის პროგრამის ინტეგრირება ბანკის გადახდების სისტემასთან, რაც უზრუნველყოფს მიღებული თანხების ელექტრონული კონტროლის შესაძლებლობას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია N7	მარაგების მართვაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია დელტამ დანერგოს შესაბამისი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მარაგების სათანადოდ აღრიცხვასა და კონტროლს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აქტივების მართვისა და კონტროლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია N8	ფინანსური ანგარიშების სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით, კადეტთა სამხედრო ლიცეუმმა უზრუნველყოს სრულყოფილი და ზუსტი ბუღალტრული აღრიცხვა
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.

რეკომენდაცია N9	ფინანსური ანგარიშგების უზუსტობის რისკების შემცირების მიზნით, ინსტიტუტმა „ოპტიკამ“ უზრუნველყოს სააღრიცხვო პროგრამების სრულყოფილად გამოყენება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია N10 რეკომენდაცია N11	დავალიანებების ნაშთების რეალურობის დასადგენად, შეიქმნას მოთხოვნებისა და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისია, რომელმაც, დავალიანებების ჩამოწერის მიზანშეწონილობის თაობაზე დასკვნის მომზადებისას, გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები: • იძებნება თუ არა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ანგარიშზე რიცხული დავალიანების სისწორე და შესაძლებელია თუ არა სააღრიცხვო რეგისტრებში არსებული ჩანაწერებით ზუსტად და საიმედოდ კონტრაგენტების იდენტიფიცირება და დადგენა; • ანგარიშზე რიცხული ნაშთის წარმოშობის საფუძველი აკმაყოფილებს თუ არა აქტივის/ ვალდებულების აღიარების კრიტერიუმებს; • მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები და სხვ.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სამინისტროს აპარატი, ჰოსპიტალი: ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია N12 რეკომენდაცია , N13	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, მოხდეს ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული მარაგების შეფასება და ანგარიშგებაში ასახვა
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სამინისტროს აპარატი, დელტა: ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია N14 რეკომენდაცია, N15	ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ და დელტამ: ✓ უზრუნველყოს ბალანსზე რიცხული იმ შენობა-ნაგებობების ბალანსიდან ამოღება, რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს; ✓ ხარჯთეფექტური მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოს ღირებულების გარეშე არსებული ქონების შეფასება და ბალანსზე ასახვა; ✓ რესურსების დაზოგვის მიზნით, მიზანშეწონილია მიწების შეფასებისას მოხდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტების დადგენილებებით განსაზღვრული ნორმატიული ფასების გათვალისწინება
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სამინისტროს აპარატი: ნაწილობრივ შესრულებული. დელტა: შესრულებული.

რეკომენდაცია N16	ფინანსური ანგარიშგების უზუსტობის რისკების შემცირების მიზნით, აკადემიამ უზრუნველყოს საადრიცხო პროგრამების სრულყოფილად გამოყენება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია N17	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროში ინვენტარიზაციის შედეგად იდენტიფიცირებულ სხვაობებზე ჩატარდეს შესაბამისი მოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება.
რეკომენდაცია N18	
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	სამინისტროს აპარატი: ნაწილობრივ შესრულებული. დელტა: შეუსრულებელი.
რეკომენდაცია N19	სამინისტროს მიერ სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიასთან შედგეს კომუნიკაცია ხელშეკრულებების კორექტირების და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მიზნით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია N20	სარემონტო სამუშაოების ხარჯეფექტიანად წარმართვის მიზნით, დელტამ შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა, რომლის მიხედვით, ყოველი სარემონტო სამუშაოს დაწყებამდე განისაზღვრება კონკრეტულ ობიექტზე საჭირო რაოდენობის მასალებისა და დანახარჯების მოცულობა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია N21	ორგანიზაციის საწარმოო პროცესებისა და ორგანიზაციის სარგებლიანობის, ასევე შემოსავლების გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია დელტამ განსაზღვროს საწარმოო შესაძლებლობები და მის საფუძველზე შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია, სამოქმედო გეგმა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შეუსრულებელი.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ილია კოჟორიძე ელფოსტის მისამართი: ikozhoridze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტის მისამართი	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE